ქ. მცხეთა 17.10.2024

„ჰონორარის ოდენობის,
მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ“

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის

გადაწყვეტილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 სექტემბრის №349 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტებისა და 2024 წლის 17 ოქტომბრის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის (შემდგომ – კომისია) სხდომის №3/2024 ოქმის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობა განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად.

2. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის – „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ (შემდგომ - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია) მოთხოვნა იმპორტიორების მიერ ჰონორარის გადახდის პერიოდულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით და იმპორტიორების მიერ ჰონორარის გადახდის პერიოდულობა განისაზღვროს ყოველთვიური გადახდის ფორმით.

3. არ დაკმაყოფილდეს ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მოთხოვნა იმპორტიორებისთვის გადახდის ვალდებულების 2024 წლის 1 იანვრიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე დაკისრების თაობაზე.

4. არ დაკმაყოფილდეს ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მოთხოვნა, იმპორტიორებისთვის ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციასთან „პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორების მიერ ჰონორარის გადახდის თაობაზე“ ხელშეკრულების დადების დავალების შესახებ.

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს საქპატენტის ოფიციალურ ბიულეტენში და საქპატენტის ვებგვერდზე.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: მცხეთა, სამხედროს №17) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტარიფები

ფიზიკურ პირთა მიერ აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორებისათვის დადგენილი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობები, მათი შესაბამისი კოდები და ჰონორარის ოდენობა

ფიზიკურ პირთა მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორებისათვის დადგენილი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობები, შესაბამისი კოდები და ჰონორარის ოდენობა: *ჰონორარის გადახდას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკურ პირთა მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.*

საქონლის კოდი[1]	საქონლის დასახელება	ტარიფი
8471 30 000 00	პორტატული ან პლანშეტური კომპიუტერი	2 %
8471 41 000 09	კომპიუტერის პროცესორი	2 %
8471 49 000 09	კომპიუტერის პროცესორი	2 %
8471 50 000 09	მინი კომპიუტერი	2 %
8519 81 000 00	მაგნიტოფონი	2 %
8519 81 000 00; 8527 12 000 00	ჯიბის კასეტური მაგნიტოფონი	2 %
8519 81 000 00	ა/მ მაგნიტოფონი	2 %
8521 10 950 00	ვიდეომაგნიტოფონი	2 %
8521 90 000 00	DVD მაგნიტოფონი	2 %
8525 81 000 00; 8525 82 000 00; 8525 83 000 00; 8525 89 000 00	ჩამწერი კამერები, ვიდეოკამერები	2 %
8471 70 980 00	ფლეშ მეხსიერების ბარათი	2 %
8523 51 900 00	ფლეშ მეხსიერების ბარათი ნ.გ	2 %

[1] შენიშვნა: საქონლის კოდები მითითებულია „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 26 იანვარის №21 ბრძანების შესაბამისად, 2024 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით.

8523 29 900 00	ჩამწერი კასეტა	2 %
8519 20 100 00; 8519 30 000 00; 8519 89 000 00	ფირსაკრავი	2 %
8523 80 100 00; 8523 80 900 00	ვინილის ფირფიტა	2 %
8517 13 000 00; 8517 14 000 00	მობილური ტელეფონი	1.5 %
8471 70 500 00	მყარი დისკი	2 %
8471 30 000 00	პლანშეტი	2 %
9201; 9202; 9205; 9206; 9207; 9208; 9209 99 400 00	მუსიკალური ინსტრუმენტები	2 %
8542 32 900 00	დამმახსომებელი მოწყობილობა	2 %
8523 41 100 00; 8223 41 900 00; 8523 49 200 00	CD დისკი	2 %
8523 41 300 00; 8523 41 900 00; 8523 49 100 00	DVD დისკი	2 %
8519 81 000 00; 8527 91 000 00; 8527 99 000 00	მუსიკალური ცენტრი	2 %
8527 19 000 00; 8527 29 000 00; 8527 92 000 00; 8527 99 000 00	რადიო	2 %
8523 80 900 00	გრამ ფირფიტა	2 %
8519 89 000 00	MP3 ფლეერი	2 %
8518 40 000 09	ხმის გამაძლიერებელი	2 %
8517 62 000 00; 9102 12 000 00; 8517 13 000 00; 8517 14 000 00	ჭკვიანი მაჯის საათი	2 %
9503 00 210 00; 9503 00 410 00; 9503 00 490 00; 9503 00 550 00; 9503 00 700 00; 9503 00 950 00; 9503 00 990 00	სათამაშო მუსიკალური ინსტრუმენტები: პიანინო, თოჯინა და ა.შ	0.5 %
8527 99 000 00	MP3	2 %
8518 30 000 09; 8517 62 000 00	საყურისები	2 %
8528 72	ყველა ტიპის ტელევიზორი	1.5 %

შენიშვნა:

1. გადაწყვეტილების მიზნებისთვის მნიშვნელობა ენიჭება დანართში 1 მითითებულ საქონლის დასახელებებს;
2. ჰონორარის ოდენობის გადახდა ხორციელდება მოწყობილობისა და მატერიალური მატარებლის საბაჟო ღირებულებიდან;
3. ტარიფები შეიცავს დღგ-ს.

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისია:

კომისიის თავმჯდომარე:

სოსო გიორგაძე

კომისიის წევრები:

დავით მათიკაშვილი

ბაია კვიციანი

გენადი არველაძე

ეკატერინე მაჩიტიძე

ნიკოლოზ აზნაურაშვილი

ლევან ჟორჟოლიანი